პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

30 მარტი ხუთშაბათი 1972 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან ● № 75 (15288)

ერთი წლის წინათ, 1971 წლის 30 მარტს კრემლის ყრილობათა სასახლეში მუშაობას დაიწყო საბჭოთა კავშირის კომპარტიის XXIV ყრილობა

ყრილობის მიერ დასახული კურსით

ერთი წლის წინათ, 1971 წლის 30 მარტს კრემლის ყრილობათა სასახლეში მუშაობა დაიწყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობამ. დიახ, უკვე მთელი წელიწადია მას შემდეგ. და რაც მეტი დრო გადის, თვითეული კომუნისტის, თვითეული ადამიანის ფიქრებსა და საქმეებში, გულსა და გონებაში უფრო ღრმად იჭრება ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა, ახალი ხუთწლიანი გეგმის მთელი მდიდარი შინაარსი. ყოველი ადამიანი — მუშაა იგი თუ კოლმეურნე, მეცნიერი თუ მწერალი, ექიმი თუ პედაგოგი, სტუდენტი თუ დიასახლისი — პარტიის ყრილობის გადაწყვეტილებებში ხედავს იმ აღმავლობასა და სიკეთეს, რამაც უნდა განამტკიცოს მისი მრავალეროვანი სამშობლოს ძლიერება, უკეთესისაკენ გარდაქმნას მისი და მისი ოჯახის ცხოვრება.

აი რატომ არის მთელ ჩვენს ქვეყანაში დიდი ენთუზიაზმი და შრომითი გაქანება, ძიება, შემოქმედება და აღშენებლობა.

ყრილობის შემდგომ განვლილმა ამ ერთმა წელმა თვალსაჩინო წარმატებანი მოგვიტანა ეკონომიკის, მეცნიერების, კულტურის ყველა დარგში. გაიზარდა ჩვენი მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერება. კიდევ უფრო გამდიდრდა, ნათელი და მჩქეფარე გახდა თვითეული ჩვენგანის ცხოვრება. ეს კი, საბოლოო ანგარიშით, მიღწეულია თვით საბჭოთა ადამიანების შეგნებული და ბეჯითი შრომით, რასაც სათავეში პარტიული ორგანიზაციები უდგანან. „სწორედ ამიტომ, — თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა პარტიის XXIV ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, — ჩვენი ეკონომიური პროგრამა უნდა განვამტკიცოთ ფართო პარტიულ-ორგანიზაციული, პოლიტიკური და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობით, რომელსაც შეუძლია სრულად აამოქმედოს ის გიგანტური ძალები, რომლებიც აქვს სოციალისტურ წყობილებას, მებრძოლის, მშრომელის, შემოქმედის შესანიშნავი თვისების ჭქონე საბჭოთა ადამიანს“.

სწორედ საბჭოთა ადამიანების ენთუზიაზმმა და შემოქმედებითმა ენერგიამ ააგო ახალი კაშხალები მდინარეებზე, სახე უცვალა სოფლებსა და ქალაქებს, კომუნისტური მშენებლობის სამსახურში ჩააყენა უდიდესი მატერიალური სიკეთე. სტატისტიკური ცნობები, რომლებიც ამ წლის დასაწყისში პრესაში გამოქვეყნდა, ნათლად მეტყველებენ იმას, რომ ახალმა ხუთწლედმა თავიდანვე კარგი სტარტი აიღო, რომ 1971 წლის პასუხსაგები დავალებანი, რომლებიც სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებიდან გამომდინარეობენ, წარმატებით შესრულდა.

ამ ერთმა წელმა თვალნათლივ დაგვანახვა ისიც, თუ როგორ ამაღლდა ადგილობრივი პარტიული ორგანოების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობა, როგორ შემოქმედებითად უდგებიან ისინი კომუნისტური მშენებლობის რთული ამოცანების გადაწყვეტას.

დღეს „კომუნისტის“ მთელი მეორე გვერდი ეთმობა იმას, თუ ამ ერთი წლის მანძილზე რა პრაქტიკული მუშაობა გასწია გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის. გაზეთში გამოქვეყნდება ამ მხრივ სხვა პარტიული ორგანიზაციების გამოცდილებაც. ამოცანა ის არის, კიდევ უფრო ამაღლდეს თვითეული პარტიული ორგანიზაციის, თვითეული კომუნისტის როლი პარტიის წინასწარდასახულობათა განხორციელებაში სულ უფრო მეტი და მეტი წვლილის შესატანად.

ჩვენი პარტია არა მარტო იმუშავებს სწორ, ხალხის საარსებო ინტერესების შესაბამის პოლიტიკას, სახავს მეცნიერულად დასაბუთებულ გეგმებს, არამედ ამასთან ერთად ხელმძღვანელობს მათს შესრულებას, წარმართავს ადამიანთა ენერგიას მთავარი ამოცანების გადასაწყვეტად. საამისოდ კი დიდი როლი ენიჭება ყოველი პარტიული ორგანოს ნაყოფიერ მოღვაწეობას, რადგან მათ უნდა უხელმძღვანელონ უშუალოდ ადგილებზე პარტიის პოლიტიკის სწორად განხორციელებას.

ამიტომ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ყრილობის შემდგომ განვლილ პერიოდშიც განახორციელა შინაპარტიული დემოკრატიის განვითარების, ორგანიზატორული და იდეოლოგიური მუშაობის სტილის, ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის ღონისძიებანი. ამ პრინციპულად დიდმნიშვნელოვან ღონისძიებებს მიეკუთვნება სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამას წინათ მიღებული დადგენილება „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“.

დადგენილებაში, რომლითაც იხელმძღვანელებს არა მარტო თბილისის საქალაქო, არამედ ყველა პარტიული ორგანიზაცია, ხაზგასმით არის მითითებული ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის ყოველმხრივ გაუმჯობესების აუცილებლობა, ურომლისოდაც წარმოუდგენელია კომუნისტური მშენებლობის მეტად რთული და პასუხსაგები ამოცანების წარმატებით გადაჭრა.

სერიოზულ ნაკლოვანებებს, რომლებზედაც სკკპ ცენტრალური კომიტეტი მიუთითებს, ადგილი აქვს სხვა ქალაქებსა და რაიონებშიც. ახლა მთავარია უფრო კრიტიკულად შეეფასოთ ჩვენი მუშაობა, უფრო ფართოდ გავაჩაღოთ კრიტიკა და თვითკრიტიკა, დავრაზმოთ შემოქმედებითი ძალები, სრულყოთ, გავაუმჯობესოთ სამეურნეო ხელმძღვანელობა, ყოველმხრივ განვამტკიცოთ დისციპლინა და გამოვიჩინოთ მეტი ორგანიზებულობა.

მომდინარე წლის სახელმწიფო გეგმა შეიუშავებულია სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების სრული შესაბამისობით და მეცხრე ხუთწლედის ორგანული, განუყოფელი ნაწილია. ამ დავალებათა შესრულება ბევრად განაპირობებს მთელი ხუთწლედის წარმატებას.

შესაძლებლობანი კი საკმაოდ გვაქვს, რომ ყველა სფეროში წელს უკეთ ვიმუშაოთ. დღითიდღე ფართოვდება სოციალისტური შეჯიბრება მეცხრე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის. მოსკოვისა და ლენინგრადის მშრომელთა კოლექტივების მაგალითისამებრ საქართველოს ქალაქებისა და სოფლების მშრომელებმაც იკისრეს ახალი ვალდებულებანი, რომ სახელოვანი შრომითი გამარჯვებებით აღნიშნონ სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავი, მიაღწიონ 1972 წელს მაღალ ეკონომიურ მაჩვენებლებს, შესამჩნევად აამაღლონ წარმოების ეფექტიანობა, უფრო სრულად გამოიყენონ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპების დაჩქარებასთან დაკავშირებული მთელი შინაგანი რეზერვები.

ფაბრიკა-ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, შახტებსა და მაღაროებში, სატრანსპორტო თუ კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციებში სულ უფრო თავს იჩენს, იბადება ახალ-ახალი ინიციატივა და პატრიოტული თაოსნობა, იღვწიან ამისათვის, რომ ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულონ დავალებები, ქვეყანას მისცენ მეტი ქვანახშირი, მეტი თუჯი და ფოლადი, მანქანები და ტანსაცმელი, ჩაი, ყურძენი, მარცვლეული და მეცხოველეობის პროდუქტები.

საბჭოთა საქართველოსა და მისი კომპარტიის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ თბილისში გამართულ საიუბილეო-საზეიმო სხდომაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა:

„ის შემოქმედებითი მგზნებარება, რომლითაც ყრილობამ აღანთო კადრები, მთელი პარტია, ყველა მშრომელი, არ უნდა შენელდეს. საჭიროა იგი გამოვიყენოთ მთელი სისრულით, რათა XXIV ყრილობის მიერ გამოღებულები ალიბანთა და ენერგიით სწრაფად, უნარიანად, დროის დაუკარგავად ჩავდგეთ დიდი პრაქტიკული საქმეების კალაპოტში, იმ ყოველდღიური მუშაობის რიტმში, რაზეც დამოკიდებულია კომუნიზმისაკენ შემდგომი წინსვლის მიღებული გეგმის შესრულება. იმისათვის, რომ ავიდეთ ახალ მწვერვალებზე, რომელთა გზა ყრილობამ დასახა, იმისათვის, რომ კიდევ უკეთ ცხოვრობდეს საბჭოთა ხალხი, ყველამ უნდა ვისწავლოთ უკეთ მუშაობა. ასეთია საზოგადოებრივი პროგრესის ლოგიკა, კომუნიზმისაკენ წინსვლის ლოგიკა“.

ყოველი დღე, ყოველი საათი სულ უფრო გვაახლოებს დიდ და სახელოვან იუბილეს — სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს. დიდი საბჭოთა ოჯახის ძმურ ერებთან ერთიან მფუოგბრში აქტიურად შრომობს ჩვენი საქართველოც, რომლის მშრომელებიც გულდაჯერებით შეჰყურებენ მომავალს, გაბუხრელად მიდიან წინ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის მიერ დასახული კურსით.

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

29 მარტს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში მუშაობა დაიწყო საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა.

პლენუმმა დაამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი:

1. საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ამოცანები საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მზადებასთან დაკავშირებით.

2. რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ამოცანები კაპიტალური მშენებლობის გაუმჯობესების საქმეში.

3. ინფორმაცია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმებს შუა პერიოდში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს საქმიანობის შესახებ.

მოხსენება დღის წესრიგის პირველ საკითხზე გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **ვ. პ. მჟავანაძემ.**

ამხ. მჟავანაძის მოხსენების გამო გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობდნენ: საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **ო. ი. ლოლაშვილი,** აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ვ. შინკუბა,** საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ა. დ. თხილაიშვილი,** სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **კ. კ. ჯიოევი,** თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ხარატი **ნ. ი. როდომანჩენკო,** საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივანი **ა. ე. ჭითანავა,** საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი მდივანი **გ. გ. აბაშიძე,** საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **ო. ს. ბოჭოიძე,** საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე **თ. ი. მოსაშვილი,** საქართველოს კომპარტიის ახალქალაქის რაიკომის პირველი მდივანი **ს. პ. პეტროსიანი,** ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი **პ. ვ. მელნიკოვი,** საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ჯ. ი. პატიაშვილი,** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორი **ე. კ. ხარაძე.**

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილება.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე პლენუმმა მოისმინა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნის ამხ. **ა. ნ. ჩურკინის** მოხსენება.

30 მარტს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მუშაობას განაგრძობს.

საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მოლაპარაკება

27-28 მარტს კრემლში გაიმართა მოლაპარაკება სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. ნ. კოსიგინსა და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარეს იმრე შოკს შორის.

მოლაპარაკების დროს, რომელიც ძმური მეგობრობისა და ყველა განხილულ საკითხზე აზრთა სრული ერთიანობის ატმოსფეროში მიმდინარეობდა, სსრ კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა მეთაურებმა ერთმანეთს აცნობეს, თუ როგორ სრულდება სკკპ XXIV ყრილობისა და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის X ყრილობის გადაწყვეტილებანი, რა მიღწევებია მოპოვებული საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის კომუნისტურ და სოციალისტურ მშენებლობაში.

მომდინარე წლის თებერვალში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევისა და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ი. კადარის მოსკოვში შეხვედრის დროს მიღწეული შეთანხმების სულისკვეთებით მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები საბჭოთა კავშირ-უნგრეთის ეკონომიური თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისა და გაღრმავების საკითხებზე, კერძოდ, ზოგიერთ პერსპექტიულ საკითხზეც, იმ ამოცანათა მიხედვით, რომლებიც გამომდინარეობენ ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავებისა და სრულყოფის და სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის განვითარების კომპლექსური პროგრამიდან.

აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირ-უნგრეთის ყოველმხრივი თანამშრომლობის მუდმივი გაფართოება და გაღრმავება სავსებით შეესაბამება საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ინტერესებს და ხელს უწყობს მათ შორის ძმური მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას, რომელსაც საფუძვლად უდევს შეხედულებათა და მოქმედების სრული ერთიანობა, დიდი ნდობა და ურთიერთგაგება.

ა. ნ. კოსიგინმა და ჟ. ფოკმა გამოთქვეს კმაყოფილება აზრთა ურთიერთგაზიარებისა და მოლაპარაკების დროს მიღწეული შედეგების გამო.

ჯილდო გადაეცა მ. ა. შოლოხოვს

28 მარტს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **ნ. ვ. პოდგორნიმ** ოქტომბრის რევოლუციის ორდენი გადასცა **მ. ა. შოლოხოვს,** რომელიც დაჯილდოვდა საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის, მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში აქტიური მონაწილეობისათვის.

ნ. ვ. პოდგორნიმ გულთბილად და გულითადად მიეფერა მ. ა. შოლოხოვს სამშობლოს მაღალი ჯილდო, უსურვა მას ჯანმრთელობა, ახალი შემოქმედებითი წარმატებანი.

მ. ა. შოლოხოვმა მადლობა გადაუხადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და საბჭოთა მთავრობას მაღალი ჯილდოსათვის. (საკდსი).

მოსკოვიდან გაემგზავრა ე. ფოკი

29 მარტს მოსკოვიდან სამშობლოში გაემგზავრა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარე **ჟ. ფოკი,** რომელიც მეგობრული ვიზიტით იმყოფებოდა სსრ კავშირში.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვნუკოვოს აეროდრომზე მომძღვეს საქმიანობის მეთაური გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ა. ნ. კოსიგინმა** და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

სკკპ დელეგაციის გამგზავრება ფინეთში

ფინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიწვევით 28 მარტს ჰელსინკში ფინეთის კომპარტიის XVI ყრილობაში მონაწილეობისათვის გაემგზავრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომელშიც შედიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი **ა. ი. პელშე** (დელეგაციის მეთაური), სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **გ. ვ. რომანოვი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგის მოადგილე **ვ. ს. შაპოშნიკოვი.**

სკკპ XXIV ყრილობის დელეგატის ფიქრები

ვლადიმერ მეტრეველი, ამ კაცს დიდი თუ პატარა იცნობს რუსთავ-ქალაქში. იგი რთული, მაგრამ საამაყო პროფესიის ადამიანია — მეტალურგიულ ქარხანაში მეფოლადედ მუშაობს, ნიადაგ მარტენის საამქროში, გავარვარებულ ღუმელთან დგას და ფოლადს ჩქაროსნული წესით ადნობს...

ამ საქმეს 1956 წლიდან მისდევს იგი. მეფოლადის საცეცხლურით ხელში გაიარა ცხოვრების სახელოვანი გზა და ქარხნის კოლექტივის, მთელი ქალაქის პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა.

ვლადიმერ მეტრეველი მოაზროვნე, განათლებული, რთულ საწარმოო ტექნიკას სრულყოფილად დაუფლებული მუშაუნივერსალია. მისი გამოსვლები ამხანაგების წრეში, კრებებზე ყოველთვის მაღალი პასუხისმგებლობით, ნოვატორობით გამოირჩევა.

აღიარებული მეფოლადე, სკკპ XXIV ყრილობის დელეგატი, ყრილობის გახსნის წლისთავზე თავის ფიქრებს უზიარებს გაზეთის მკითხველებს. (წერილი იხილეთ მესამე გვერდზე).

მეგობართა შეხვედრები

სტუმრები მოძმე სომხეთიდან

თბილისში გრძელდება მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქთა დღეები. ახლახან ჩვენთან იყვნენ აზერბაიჯანიდან ჩამოსული სტუმრები, რომლებიც მონაწილეობდნენ პარტიის საქალაქო კომიტეტისა და საზოგადოება „ცოდნის“ საქალაქო განყოფილების ინიციატივით მოწყობილ მოკავშირე რესპუბლიკათა მეგობრობის დღეებში. ბაქოს წარმომადგენლებს ელოთადად მასპინძლობდნენ ბორის რაიონის მშრომელები. დღეს მეგობრობის ესტაფეტას აგრძელებენ 26 კომისრის სახელობის რაიონის მშრომელები.

28 მარტს თბილისელებთან სტუმრად ჩამოვიდნენ ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი მ. ადონცი, ჟურნალ „ეოხნის“ რედაქტორი გ. ტერ-გრიგორიანი, სომხეთის სსრ დამსახურებული მხატვარი რ. რუსკიანი.

თბილისში ყოფნის პირველ დღეს მოძმე სომხეთის დედაქალაქის წარმომადგენლებმა გაისეირნეს ქალაქში, დაათვალიერეს ღირსშესანიშნავი ადგილები.

დღის მეორე ნახევარში ერევნელი სტუმრები ეწვივნენ № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისანს“, ქარხანა „მიკროფარავას“, სადაც გაიმართა ლექტორის დღეები. სტუმრებმა იოსპარაკეს საბჭოთა სომხეთის ეკონომიკის განვითარებაზე 50 წლის მანძილზე, ლიტერატურისა და ხელოვნების აღმავლობაზე, მოძმე ხალხთა მეგობრულ ურთიერთობაზე.

— საქართველოს დედაქალაქის მშრომელებთან შეხვედრები ერთხელ კიდევ ამტკიცებენენ, თქვა ერევნელ ერევანელ ... ...

ერთი წელი სკკპ XXIV ყრილობის შემდეგ

გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის გამოცდილებიდან

ბიბლიოთეკა

რესპუბლიკური დაუსწრებელი პარტიული კრება

დღის წესრიგში: პირველადი პარტიული ორგანიზაცია სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში

დღეს სიტყვით გამოდიან:

კოლმეურნეობის პირველადი პარტორგანიზაციის ბიუროს მდივანი გიორგი გოგაშვილი

ხშირად, გახურებული მუშაობის დღეებში, კოლმეურნეობის გამგეობა და პარტბიურო ადგილებზე, ბრიგადებში ოპერატიულად წყვეტენ საკითხებს. ამ სურათზე თქვენ ხედავთ პარტბიუროს წევრებსა და აქტივისტ კომუნისტებს, რომლებიც № 9 ბრიგადაში ვაზის მეწნობისა და სხვა სამუშაოების მიმდინარეობის საკითხებზე მსჯელობენ. მარცხნიდან — მევენახეობის № 9 ბრიგადის პარტორგანიზაციის მდივანი ვ. დათუაშვილი, № 2 სტრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი ზ. არჩევნიშვილი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. უტიაშვილი, პარტბიუროს მდივანი გ. გოგაშვილი, მევენახე ი. მაზანიშვილი, მთავარი აგრონომი ქ. ჭიპაშვილი და მევენახე დ. ჯავახიშვილი.

ფ. ბუბუნიას ფოტო.

ჩუმლაყელი კომუნისტები

ბუნების მოწყალებას ნუ დაველოდებით...

ალბათ ბევრს ეცოდინებოდა, ასეთ ამინდში, ასეთ ცივ ზამთარში, ასეთ ბოლო ფეხზე ადგილიდან ადგილზე ასვლა, ასეთ ბინდ-ბურუსში ასეთ ადგილებში ასეთ ამინდში ასეთ ... ასეთ ... ასეთ ...

შრომა, ინიციატივა, პასუხისმგებლობა

ხშირად მეკითხებიან, ვგრძნობ თუ არა დაღლას სამუშაოს დამთავრების შემდეგ? პასუხი, რა თქმა უნდა, ყოველთვის ერთი არ არის — ხან ძლიერ ვიღლები, ხან სულაც არა. მაგრამ დაცდილი მაქვს, მძიმე ფიზიკური შრომის შემდეგაც კი შინ ხალისიანი ბრუნდები, თუკი საქმე როგორც საჭირო იყო ისე მოვათავე, მომავალ ცვლას ყველაფერი წესრიგში დავუტოვე. ერთი სიტყვით, პირნათლად მოგიხადე ვალი კოლექტივის წინაშე. ჩემი აზრით, პირადი პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა, მისი თვითკონტროლი, საბოლოოდ გავლენას ახდენს არა მარტო შრომის ნაყოფიერების ზრდაზე, არამედ ადამიანის ხასიათზე, ფიზიკურ პოტენციალზე, იქმნება მტკიცე ხასიათის პიროვნება, რომელსაც შეუძლია ჰაკადეს მიმბაძველი, მიმდევარი.

ასეთი მტკიცე ხასიათის ადამიანები ჭირდება მეტალურგიას. ამიტომ ორმაგი პასუხისმგებლობა გვეკისრება ჩვენ, შედარებით ძველი თაობის მეტალურგებს, რომლებმაც დიდი ამოცანების შესრულებისათვის დამკვრელურ შრომაში უნდა გავიყოლიოთ ახალგაზრდები, ფოლადივით უნდა ვაწრთოთ მათი ხასიათი, რომ შეეძლონ ფრსეულად განაგრძონ ჩვენს მიერ დაწყებული საქმე, თავდადებული შრომით უპასუხონ პარტიისა და მთავრობის მოწოდებას.

ორ ათეულ წელზე მეტია, რაც მეტალურგიული ქარხანა არსებობს. მას ბევრი შესანიშნავი სპეციალისტი, თავისი საქმის ნამდვილი ოსტატი, ინიციატივიანი, ინტერესიანი მუშაკი ჰყავს. რით არიან ისინი, უპირველეს ყოვლისა, ღირსეული ადამიანები? იმით, რომ მათი შრომისადმი დამოკიდებულება კომუნისტურია, მათი დისციპლინა, პასუხისმგებლობა, ინიციატივა მაღალ დონეზე დგას.

მაღალი ენთუზიაზმი მათ თვალსაჩინოდ დაამტკიცეს გასულ ხუთწლედში, როცა ჩქარსნული დნობის არაერთი რეკორდი დაამყარეს.

„ყოველი მესამე ნადნობი იქნება ჩქარსნული", — მეტალურგები ამ დევიზით დადგნენ სკკპ XXIV ყრილობის შრომით ვახტაზე და პირობა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს: მათი ახალი შრომითი გმირობის ამბავი სკკპ XXIV ყრილობის მუშაობის დროსაც გავიგე, როცა როგორც თავიანთ დელეგატს დეპუტატი მაცნობეს, რომ მარტენის საამქრომ გეგმის გადამეტებით 6.000 ტონა ფოლადი გამოადნო. აქედან № 3 ღუმელის ანგარიშზე, ჩვენი ბიჭების ანგარიშზე, 260 ტონა ზეგეგმითი ფოლადი მოდიოდა!

პარტიის ამ ისტორიულ ფორუმზე ჩემი კოლექტივის, ქართველ მეტალურგთა სახელოვანი არმიის წარგზავნილი ვიყავი, და, სიმართლე გითხრათ, სიამაყის ჯრანმა გამოორეცდა, თითქოს ჩემი კოლექტივის მხარი ვიგრძენი. ვისმენდი ჩვენი მომავალი ცხოვრების ნათელ პროგრამას და გონების თვალით ვეჭვრეტდი მშობლიური ქარხნის განვითარების პერსპექტივებს. დელეგატის ბლოკნოტში ჩავიწერე: 1975 წლისათვის ფოლადის წარმოება ჩვენს ქვეყანაში 142-150 მილიონ ტონამდე უნდა გაიზარდოს, ჩქარი ტემპით განვითარდეს მილების წარმოებაც. გადიდდება ჩვენი ქარხნის პროდუქციის მოცულობა, ეს ზრდა 30 პროცენტს მიაღწევს.

შევძლებთ კი ყოველივე ამას? აი რა კითხვა დამებადა მაშინ, ამ ციფრების რომ ვისმენდი, მაგრამ, როცა ღღეს, როცა სკკპ XXIV ყრილობის გახსნის დღიდან ერთი წელიწადი გავიდა, უკვე შეგვიძლია შევაჯამოთ გაწეული შრომის შედეგები. ჩემი აზრით, მეტალურგებმა სწორი გეგმა აიღეს, როცა საწარმოს ტექნიკური შეიარაღების, მეცნიერებასთან კავშირის გაფართოების ახალი პროგრამა დასახეს და მის განხორციელებას შეუდგნენ, მაგრამ მე დღეს ამაზე როდი ვისაუბრებ, მინდა გავაგრძელო ის აზრი, ამ წერილის დასაწყისში რომ ვთქვი — ეს არის კოლექტივის თვითეული წევრის — პასუხისმგებლობის, ინიციატივის, დისციპლინის ამაღლება და ახალგაზრდა კადრების დაოსტატებაზე ზრუნვა.

საკითხი ახალი არ არის, მაგრამ მისდამი ახალი თვალსაზრისით მიდგომას, თანამედროვე ამოცანების შესაბამისად გადაწყვეტას ყოველთვის კარგი შედეგი მოჰყვება ხოლმე. სკკპ XXIV ყრილობამ მას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო „იდეოლოგიურ მუშაობაში, რომელსაც პარტია ეწევა, ერთ-ერთ პირველ ადგილზე დგას საბჭოთა კავშირისაგან ბრწყინვალედ აითვისეს ქართველმა მეტალურგებმა, ღუმელების რეკონსტრუქცია, ავტომატურ მართვაზე გადასვლა, ტექნოლოგიური რეჟიმის სრულყოფა, იქვე გამეფანტა... მერე კი მშობლიურ კოლექტივში რომ დავბრუნდი, და ჩემი კოლეგების მაღალი ენთუზიაზმიც ვიგრძენი, მივხვდი: პარტიის სიტყვა შესრულდება!

ოღონდ საჭირო იყო და დღესაც არის საწარაო პროგრესის გზის ძიება. როგორ მიმდინარეობს იგი? საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი ინიციატივის განვითარების, მასობრივი შეჯიბრებების მოწყობის მოთავეები. ყველა კოლექტივში უნდა შეიქმნას ისეთი მორალური ატმოსფერო, რომელიც ხელს შეუწყობს მაღალნაყოფიერ შრომას, დაამკვიდრებს ერთმანეთისადმი პატივისცემასა და მზრუნველ დამოკიდებულებას, საკუთარი თავისა და სხვებისადმი მომთხოვნელობას, კოლექტიურობას. ამასთან შრომის სტიმულირება, როგორც მორალური, ისე მატერიალური ყველა კოლექტივის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი საკითხი უნდა იყოს.

ყრილობიდან რომ ჩამოვედი, როგორც დელეგატმა და როგორც საამქროს აგიტატორმა, არაერთი საუბარი ჩავატარე. საუბრები ბევრ საკითხს შეეხებოდა და ინტერესით ჩაიარა. მახსოვს, ერთხელ, ერთ-ერთი საუბრის დროს ხელისშემწყობმა ს. ბენდელიანმა მკითხა: თუ კაცი ხარ, ბოლოს და ბოლოს გვითხარი, კონკრეტულად რა ამოცანები დგას ჩვენი ქარხნის წინაშე? ვიფიქრე, ვგრძნობდი ალბათ ინიციატორი ვყოფილვარ, ეს რომ აქამდე მუშებმა ვერ გაიგეს-მეთქი.' მართლაც, როცა ჩატარებული საუბრების თემებს ვადაავლებდი, უმეტესობა ზოგადი იყო და კონკრეტულობა აკლდა. ამიტომ მორიგი საუბარი ჩვენ უკვე ქარხანაში ერთეული სიმძლავრეების გაზრდის პრაქტიკულ საკითხებს მივუძღვენით. საუბარში ბევრმა მეტალურგმა მიიღო მონაწილეობა. მეფოლადეებმა, განსაკუთრებით ახალგაზრდებმა, შეიძლება ითქვას, მართლაც დიდი ინტერესი აი სწორედ ეს გამოცდილი ადამიანები ჩაუდგნენ სათავეში ახალგაზრდა კადრების აღზრდას. საამქროს პარტიულ კრებაზე ფართო მხარდაჭერა ჰპოვა ჩემმა ინიციატივამ, რომ თვითეულმა კადრის მეფოლადემ აღსაზრდელად აიყვანოს საამქროში ახლადმოსული ორ-ორი მუშა. ამ კრების შემდეგ ფაქტიურად გაჩაღდა შეჯიბრება ახალგაზრდა კადრების უკეთ მომზადებისათვის. თუ გავიფიქრებ, რომ ამ შეჯიბრებაში ჩაებნენ ისეთი გამოცდილი მეტალურგები, როგორიც არიან ვ. ბერეკაშვილი, გ. სებისკვერაძე, ზ. ყაველაშვილი და სხვები, ადვილად მივხვდებით, რა კარგი შედეგის მოტანა შეუძლია ამ წამოწყებას. თუმცა გვყავს ახალგაზრდა მეფოლადეები, რომლებიც უკვე თვითონ გადასცემენ სხვას თავის გამოცდილებას.

კადრების დაოსტატება, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება, ინიციატივა, შეჯიბრების სიჯარობა, დღეს მეტალურგთა ყურადღების ცენტრშია; მათ კარგად აქვთ შეგნებული ის დიდი ამოცანები, რომელებიც ხუთწლედში უნდა გადაჭრას; შრომის ნაყოფიერების სწრაფ ზრდასთან ერთად ძირეულად უნდა გაუმჯობესდეს პროდუქციის ხარისხი.

ხუთწლედის მეორე წლის პირველი კვარტალი მიიწურა. გავლილი ერთი წელი გვაშორებს სკკპ XXIV ყრილობას. ეს არც ისე დიდი დროა, მაგრამ მეტალურგებმა უკვე ბევრი რამის გაკეთება შეძლეს. ისინი ყრილობის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულნი, იბრძვიან თავიანთი კოლექტივის, სამშობლოს საკეთილდღეოდ. მათი თავდადება გმირობის ტოლია.

ვლ. ჭეტრეველი.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადე, სკკპ XXIV ყრილობის დელეგატი.

გავაუმჯობესოთ ვაჭრობა სოფლად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიმბარშია საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა აქტივის კრება. მოიხმინეს მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ცეკავშირის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის წინასწარ შედეგებთან, სოფლის [illegible] ლმა რიგმა ორგანიზაციებმა ვერ შეასრულეს დაკალათანი და კვლავ ჩამორჩენილ ისევე, როგორც მარშან.

მომხსენებელმა დიდი ყურადღება დაუთმო საზოგადოებრივი კვების შემდგომი განვითარების საკითხებს. ბევრი უნდა იმუშაონ იმ საწარმოთა კოლექტივებმა, რომლებიც ემსახურებიან ტურისტებს, ყოველი ღონე იმარონ, რომ ჩვენი რუსპუბლიკის სტუმრები გულთბილად იხსენებდნენ ქართულ სტუმართმოყვარეობას. მეცრად უნდა მოგვითხოთ იმათ, ვინც ჯერ კიდევ ატუკუნს მომსმარებლებს ნოსა-ზომასა და ფასში.

მოხსენებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო პროგრესული ფორმების, განსაკუთრებით თვითმომსახურების შემდგომი გავრცელების საკითხებს, საბითუმო ორგანიზაციების შუამავლის, პრეწველობასთან ვაჭრობის ურთიერთობას, კაპიტალური მშენებლობის პრობლემებს, სოფლის მშრომელთა მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების გზებს საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოების დროს.

აქტივის კრებაზე ხაზგასმით აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ხუთწლედის, მისი მეორე წლის დაგალათა ვადამდე შესრულებისათვის, სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთვის ღირსეულად შეხვედრისათვის სოციალისტური შეჯიბრების ყოველნაირად გაშლას. (საქინფორმი).

თვალსაჩინო ექსპერიმენტი

პარიზი. საფრანგეთის გაზეთ „ნასიონს" „საბჭოთა ტექნიკის ახალ წარმატებად" მიაჩნია „ვენერა-8" ავტომატური სადგურის გაშვება. გაზეთი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირი წინ არის ამ პლანეტის შესწავლაში.

„კომბა" აღნიშნავს, რომ ეს ფრენა საშუალებას მოგვცემს უფრო მეტი შევიტყოთ არა მარტო პლანეტა ვენერას შესახებ, არამედ საერთოდ მზის სისტემის ისტორიის შესახებაც.

გაზეთი „ფიგარო" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა სპეციალისტები „ოსტატები არიან ავტომატური სადგურების დარგში" და რომ „ვენერა-8" სადგურის გაშვება ასახავს „ტექნიკის სრულყოფილობასა და სადგურების პროგრამების მრავალფეროვნებას".

ტოკიო. იაპონიის პრესა იუწყება, რომ გაშვებულია საბჭოთა ავტომატური სადგური „ვენერა-8", და აღნიშნავს, რომ მეცნიერული მონაცემები, რომლებსაც იგი დედამიწაზე გადმოსცემს, „მნიშვნელოვნად გაიფართოებენ ადამიანთა წარმოდგენას იდუმალ პლანეტაზე".

„ვენერა-8", წერს „ტოკიო სიმბუნი", — ეს არის კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი კოსმოსის შესწავლის საბჭოთა პროგრამის განხორციელების გზაზე.

დელი. სადგურის გაშვებამ ვენერას მიმართულებით დიდი ინტერესი გამოიწვია ინდოეთის მეცნიერთა წრეებში.

„თვალსაჩინო მეცნიერული ექსპერიმენტი" — ასე დაახასიათა „ვენერა-8" სადგურის გაშვება ინდოეთის ეროვნული ფიზიკის ლაბორატორიის დირექტორმა დოქტორმა ა. რ. ვერმამ საკდესის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში.

„ეს საბჭოთა მეცნიერების ყველაზე გრანდიოზული მეცნიერული მიღწევაა, რომელიც ხსნის სამყაროს საიდუმლოებებს მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ, — თქვა დოქტორმა ვერმამ. — ინდოელი მეცნიერნი გულითადად მეესალმებიან საბჭოთა მეცნიერებს, ინჟინრებსა და ტექნიკოსებს".

ბუქარესტი. სათაურით „ახალი საბჭოთა საპლანეტათშორისო სადგური მიფრინავს ვენერასაკენ" რუმინული „სკინტეია" წერს, რომ საბჭოთა კავშირში გაუშვეს ავტომატური სადგური „ვენერა-8". ახალი კოსმოსური ექსპერიმენტი, აღნიშნავს გაზეთი, კიდევ ერთხელ ცხადყოფს საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის მაღალ დონეს: იგი, უეჭველია, გაამდიდრებს კაცობრიობის ცოდნას პლანეტა ვენერას შესახებ, რომელიც ჯერ კიდევ უამრავ საიდუმლოებას ინახავს. (საკდესი).

ბონი

ხელშეკრულებათა ღიდი მნიშვნელობა

29 მარტი. (საკდესი). გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა ვ. ბრანდტმა ყურნალ „შტერნისათვის" მიცემულ ინტერვიუში გამოთქვა რწმენა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულებებს საბჭოთა კავშირთან და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასთან მოიწონებს ბუნდესტაგი.

მან გამოთქვა აზრი, რომ ხელშეკრულებათა რატიფიკაციის ჩაფუშვას შეიძლება არასასურველი შედეგები მოჰყვეს. ვ. ბრანდტის თქმით, ეს გამოიწვევს საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობის გაუარესებას. თუ ეს მოხდა, თქვა მან, ძალაში ვერ შევა აგრეთვე ოთხი სახელმწიფოს შეთანხმება დასავლეთ ბერლინის შესახებ.

კანცლერმა ვ. ბრანდტმა აღნიშნა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ხელშეკრულება ფართო შესაძლებლობებს ქმნის ორი ქვეყნის ეკონომიური თანამშრომლობისა და ვაჭრობის ურთიერთხელსაყრელი განვითარებისათვის.

კინო

უარს ამბობენ

29 მარტი. (საკდესი). საიგონის მარიონეტული არმიის სულ უფრო მეტი ჯარისკაცი აცხადებს უარს მონაწილეობა მიიღოს სადამსჯელო ოპერაციებში სამხრეთ ვიეტნამის მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ.

მარტო მარტის პირველ რიცხვებში საიგონის არმიის 600-ზე მეტმა ჯარისკაცმა რატზიის პროვინციაში უარი თქვა ბრძოლაზე. ბევრი მათგანი იარაღით ხელში გადავიდა სამხრეთვიეტნამელ პატრიოტთა მხარეზე.

ლონდონი

მრიწონეს კანონპროექტი

29 მარტი. (საკდესი). ინგლისის პარლამენტმა ხმების დიდი უმრავლესობით მეორე წაკითხვით მოიწონა მთავრობის კანონპროექტი ჩრდილოეთ ირლანდიის პარლამენტის (სტორმონტის) დათხოვნისა და ლონდონიდან ჩრდილოეთ ირლანდიაში „პირდაპირი მართვა-გამგეობის" დამყარების შესახებ.

როგორც ჩრდილოეთ ირლანდიის მოქალაქეობრივი უფლებებისათვის მოძრაობის განცხადებაშია აღნიშნული, ოლსტერის პრობლემები უხდა გადაწყდეს არა ბრიტანეთის დედაქალაქიდან პირდაპირი მართვა-გამგეობის შემოღების გზით, არამედ „საგანგებო რწმუნებათა კანონის" გაუქმების, პოლიტიკური პატიმრების დაუყოვნებლივ განთავისუფლების, კათოლიკური უმცირესობისათვის თანასწორი უფლებების მინიჭების გზით.

ბელგრადი

მოსკოვსა და ვარშავაში დადებულ ხელშეკრულებათა რატიფიკაციის დაჩქარებას მოითხოვს დასავლეთ გერმანიის მოსახლეობის უმრავლესობა.

აქტივისტები — იმ გაერთიანებათა წევრები, რომლებსაც ნაციზმის დროს დევნიდნენ, მაინის ფრანკფურტის ქუჩებში ავრცელებენ (სურათზე) ფურცლებს, რომელშიც მოუწოდებენ ხელშეკრულებათა დაუყოვნებელი რატიფიკაციისათვის.

აპდ-სკკდსის ფოტო.

ნიკოზია

კვიპროსში შექმნილი მდგომარეობის გამო

29 მარტი. (საკდესი). კვიპროსის ეკლესიის სინოდის წევრებმა კვლავ სცადეს ზეგავლენა მოეხდინათ კვიპროსის პრეზიდენტზე არქიეპისკოპოს მაკარიოზზე.

მისი 19 მარტის წერილის პასუხად მათ გაიმეორეს მოთხოვნა პრეზიდენტის პოსტიდან მაკარიოსის გადადგომის შესახებ. როგორც ცნობილია, თავის წერილში სინოდის წევრი სამი ეპისკოპოსისადმი მაკარიოსმა აღნიშნა, რომ სინოდის გადაწყვეტილება „ნაკარნახევი იყო არასაეკლესიო ელემენტების მიერ" და, რომ რთული პოლიტიკური ვითარების გამო, რომელიც ამჟამად კუნძულზე შეიქმნა, პრეზიდენტის პოსტიდან მის წასვლას შეიძლება საშიში შედეგები მოჰყვეს.

გაზეთი „ხარავგი" სინოდის პასუხს აფასებს როგორც „გამოწვეულს კვიპროსის ხალხისა და მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის მიმართ". პასუხის არგუმენტაცია, აღნიშნავს გაზეთი, გამსჭვალულია ანტიბალხურ, ხუნტის მომხრე პრესის სულისკვეთებით.

„სინოდის წევრებს, — წერს გაზეთი, — არ შეიძლება არ ესმოდეთ, რომ არც მაკარიოსი, არც ხალხი არ მისცემენ ნებას სამპირს, რომელიც არავის წარმომადგენელი არ არიან და გარედან კარხახით მოქმედებენ, თავს დაატეხონ კვიპროსს ეროვნული კატასტროფა". კვიპროსის ხალხი, ნაზს უსვამს დასასრულს „ხარავგი", მზად არის დაიცვას თავისი პრეზიდენტი და ყოველი ღონე იხმაროს. იმისათვის, რომ ჩაფუშოს გარედან მოწყობილი შეთქმულება რესპუბლიკის მთავრობის წინააღმდეგ.

მეცნიერის დიდი გზა

ალექსანდრე ბარამიძის დაბადების 70 წლისთავი



აკადემიკოსი ალექსანდრე ბარამიძე სამოცდაათი წლისაა. თოთქმის ნახევარი საუკუნეა, რაც სახელოვანი მეცნიერი უშრეტი ენერგიით ემსახურება საშვილიშვილო საქმეს — ქართველი ხალხის უმდიდრესი სულიერი კულტურის შესწავლასა და გამომზეურებას.

ეს კი მოღვაწეობის ისეთი ასპარეზია, რომელიც ნიჭს, გარჯასა და ღრმა განსწავლულობასთან ერთად, უწინარეს ყოვლისა, მოითხოვს ეროვნული სულისკვეთებით გამთბარ მიზანსწრაფვას, დიდ გატაცებას. ალექსანდრე ბარამიძე, როგორც მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ამ თვისებებით უხვად არის დაჯილდოებული.

იგი ღირსეული მოწაფე და გამგრძელებელია ქართველ მეცნიერთა ბრწყინვალე კოპორტისა, რომელთაც ჩვენი საუკუნის დამდეგიდან წმიდათაწმიდა მოვალეობად მიიჩნიეს ქართული მეცნიერების აღორძინება. ამ დიდი მოძრაობის ყველაზე მნიშვნელოვანი საყოფი, როგორც ცნობილია, ეროვნული უნივერსიტეტის დაარსება იყო. სწორედ აქ აღიზარდა, პირველი წრთობა მიიღო ახალგაზრდა მეცნიერთა იმ თაობამ, რომელიც შემდგომში ასეთი წარმატებით გაუღლა ქართული მეცნიერების სხვადასხვა მნიშვნელოვან უბანს.

ალექსანდრე ბარამიძე, დღეს სახელმოხვეჭილი მეცნიერი, ჩვენი უნივერსიტეტის ერთ-ერთი პირველი აღზრდილთაგანია და წინამორბედთა კვალდაკვალ შეუბღალავი ღირსებით ეწევა მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ძნიმე ჭაპანს.

ხშირ შემთხვევაში პირველი გამარჯვება მომავალ წარმატებათა საწინდარი ხდება. ალექსანდრე ბარამიძის ჯერ კიდევ ოციან წლებში გამოქვეყნებულ პირველ ნაშრომებს მაღალი შეფასება მისცეს ისეთმა გამოჩენილმა მეცნიერებმა, როგორებიც იყვნენ ნიკო მარი, ივანე ჯავახიშვილი, კორნელი კეკელიძე და იუსტინე აბულაძე. ახალგაზრდა მეცნიერი მაშინვე მიიჩნიეს საიმედო მეცნიერულ ძალად, რომელსაც ხელეწიფებოდა გაბედულად შებმოდა ქართული კულტურის ისეთი რიული უბნის შესწავლას, როგორსაც ძველი ქართული მწერლობა წარმოადგენს.

ხელდასხმა რომ უცთომელი გამოდგა, ამას თვალნათლივ ამტკიცებს ალექსანდრე ბარამიძის მთელი შემდგომი სამეცნიერო მოღვაწეობა, ის დიდი წვლილი, რომელიც შეიტანა მან თანამედროვე ქართული ფილოლოგიის, კერძოდ კი ლიტერატურათმცოდნეობის წარმატება-განვითარების საქმეში.

ძველ ქართულ მწერლობას ყოველთვის ჰყავდა თავისი მესვეურები, ძველად და ახლო წარსულშიც, მაგრამ მკაცრ მეცნიერულ საფუძველზე მისი შესწავლა მხოლოდ ჩვენს ეპოქაში განხორციელდა. როგორც ცნობილია, ძველი ქართული მწერლობა მე-5, მე-18 საუკუნეებს მოიცავს და მას ამშვენებს ისეთი სახელები, როგორიც არიან იაკობ ცურტაველი და გიორგი მერჩულე, ეკვთიმე და გიორგი მთაწმიდელები, ეფრემ მცირე და იოანე პეტრიწი, ჩახრუხაძე და რუსთაველი, სულხან-საბა და ვახტანგ მეექვსე, გურამიშვილი და ბესიკი.

ძველი ქართული მწერლობა არაჩვეულებრივად რთული ისტორიულ-ლიტერატურული საკითხების მიღ ეკომპლექსებს მოიცავს და მის შესწავლაში ფასდაუდებელი წვლილი გაიღო დიდმა მეცნიერმა კორნელი კეკელიძემ. მას ღირსეულად დაუშშვენა მხარი მისმავე მოწაფემ ალექსანდრე ბარამიძემ. მან მეცნიერული კვლევის საგნად უპირატესად ქართული საერო მწერლობა გაიხადა, რომელიც ჩვენში მე-11 საუკუნიდან იწყება აღორძინებას და ერთ-ერთ უნიკალურ მოვლენას წარმოადგენს საშუალო საუკუნეთა მსოფლიო ლიტერატურაში. ალექსანდრე ბარამიძემ კორნელი კეკელიძესთან ერთად საფუძველი ჩაუყარა ძველი ქართული მწერლობის ერთიანი მეცნიერული კურსის შექმნა-ჩამოყალიბებას, რომელიც დღეს ანალიზშიც ითვლება და თარგმნილია მეზობელ ხალხთა ენებზეც.

ძველი ქართული ლიტერატურის მეცნიერული კურსის შექმნას წინ უძღოდა დიდი და შრომატევადი სამუშაოები. ალექსანდრე ბარამიძემ არაერთი საყურადღებო ნაშრომი მიუღია ქართული საერო მწერლობის თავისებურებებსა და წარმომობის მიზეზებს, რაც დღესაც ერთ-ერთ საკვანძო პრობლემად ითვლება. მახვილი დაკვირვებებით გამოირჩევა მკვლევარის ნაშრომები ჩახრუხაძესა და შავთელზე, „ვისრამიანის" სარგის ისოფელისეულ ბრწყინვალე თარგმანზე. გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნის მკვლევარს ძველი ქართული მწერლობის ისეთ საყოველთაოდ ცნობილ ძეგლზე, როგორიცაა საგმიროსარაინდო რომანი „ამირანდარეჯანიანი". აღსანიშნავია, რომ თვით ნიკო მარისავე სიცოცხლეში ალექსანდრე ბარამიძემ უარჰყო და დასაბუთა მანამდე აღიარებული ნიკო მარის შეხედულების მცდარობა აღნიშნული ძეგლის ორიგინალობის თაობაზე, ახლებურად გარკვია „ამირან-დარეჯანიანის" შედგენილობისა და ლიტერატურული წყაროების საკითხი.

მკვლევარმა მონოგრაფიული ნაშრომები მიუძღვნა ძველი ქართული საერო მწერლობის თითქმის ყველა მნიშვნელოვან ავტორს. წლების მანძილზე მუშაობდა სულხან-საბას, ვახტანგ მეექვსის, დავით გურამიშვილის, ბესიკის ბიოგრაფიის უცნობი ფურცლების ამოსაფიფრად, ყოველმხრივ იკვლევდა მათ შემოქმედებას თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობის პოზიციებიდან, რაც უკვე თავისთავად მოასწავებდა სიახლეს ამ მიმართულებით. ალექსანდრე ბარამიძის მიერ წამოყენებული და დასაბუთებული კონცეფციის შემდგომ ახლებურად იხსნება გვიანფეოდალურ საქართველოში არსებული ლიტერატურული ბრძოლების შინაარსი, თვიმურაზ პირველისა და არჩილის პოეტური მემკვიდრეობის თავისებურებანი. თეორიული ასპექტით იქცევს ყურადღებას დაკვირვებები „ადრეული რეალიზმის" საწყისებზე, რაც ჩვენში არჩილის ლიტერატურულ სკოლას უკავშირდება. შეიღება დაბეჭდილებითი ითქვას, რომ თუ ჩვენმა მეცნიერებამ დღეს ბევრად მეტი იცის ქართული მწერლობის ე. წ. „აღორძინების ეპოქაზე" (მე-15, მე-18 სს.), ამ საქმეში ფუძემდებელური ღვაწლი სწორედ ალექსანდრე ბარამიძეს მიუძღვის.

ფართო ერუდიცია, განსწავლულობა აღმოსავლურ ენებში, მკვლევარს ხელს უწყობდა წარმატებით ეკვლია ლიტერატურული ურთიერთობანი და საყოველთაო აღიარებით იგი ამ დარგის ერთ-ერთი პიონერთაგანია ჩვენში. მისი ღრმა რწმენით ამ ხაზით წარმართული კვლევა ოღონდაც სცილდება ლიტერატურის სფეროს და აღიქმება ხალხთა ძმობა-დაახლოების კეთილშობილურ ფაქტორად, რადგან ეროვნულ შეხდუდულობასა და ეზოლაციისაკენ სწრაფვას არავრთი ეროვნებისათვის არ მოუტანია სარგებელი.

ცნობილია ალექსანდრე ბარამიძის საგულისხმო ნარკვევები და წერილები ქართულ-რუსულ, ქართულ-უკრაინულ, ქართულ-სომხურ, ქართულ-აზერბაიჯანულ, ქართულ-ტაჯიკურ, თუ ქართულ-უზბეკურ ლიტერატურულ ურთიერთობებზე. განსაკუთრებით ფასეულია მეცნიერის ნაშრომები ქართულ-სპარსული ლიტერატურულ ურთიერთობათა სფეროდან. ამ თვალსაზრისით სანიმუშოა ალექსანდრე ბარამიძის ფუნდამენტური ნაშრომები და წერილების სერია ფირდოუსის „შაჰ-ნამეს" ანუ იგივე „როსტომიანის" ქართულ ვერსიებზე. აგრეთვე ვრცელი მონოგრაფია „ქილილა და დამანას" ქართულ რედაქციებზე, რომელთა დამუშავება ქართულ ენაზე დაკავშირებულია ვახტანგ მეექვსესა და სულხან-საბას დიდ სახელოვნთან. ამ ნაშრომებში ალექსანდრე ბარამიძემ გადაწყვიტა არა ერთი მანამდე ბნელით მოცული ისტორიულ-ლიტერატურული საკითხი და ნათელი გახადა ამ შესანიშნავი ძეგლების ჩვენში გავრცელების ლიტერატურული ისტორია. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ უკანასკნელი ნაშრომისათვის 1936 წელს ალექსანდრე ბარამიძეს მიენიჭა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.

ლიტერატურულ ურთიერთობათა სფეროდან მნიშვნელოვანია გამოკვლევები „საიათნოვაზე", „რუსუდანიანს" ლიტერატურულ წყაროებზე, „ხოსროვშერინიანის" ქართულ ვერსიაზე, აგრეთვე წერილები ფირდოუსზე, ნიზამიზე, ალიშერ ნავოიზე და აღმოსავლეთის სხვა გამოჩენილ მწერლებზე.

სახელოვანმა მეცნიერმა შესანიშნავი შრომები მიუძღვნა ქართული კლასიკური ხანის თითქმის ყველა ძეგლს. მაგრამ მაინც ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ალექსანდრე ბარამიძის, როგორც მეცნიერისა და მკვლევარის განსაკუთრებული სიყვარულისა და გატაცების საგანია შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა. მრავალზე მრავალი გამოკვლევა უძღვნა მეცნიერმა ვეფხისტყაოსანს და თითქმის არ დარჩენილა რუსთველოლოგიური სფეროდან რაიმე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელზეც მას თავისი სიტყვა არ ეთქვას.

მისი, როგორც მკვლევარ-რუსთველოლოგის, ერთი დამახასიათებელი თვისება ის არის, რომ იგი არასოდეს მორიდებია ე. წ. „შავ სამუშაოს" და მხოლოდ მის მიერ მიკვლეულ, ან კვლავ გადამუშავებულ პირველწყაროებზე დაყრდნობით გამოქვეყნდა ესა თუ ის სათანადო დასკვნები. იგი ერთნაირი წარმატებით იკვლევდა როგორც ვეფხისტყაოსნის ტექსტოლოგიის ურთულეს საკითხებს, ასევე პოემის მსოფლმხედველობასა თუ მხატვრულ კონსტრუქციას. იგი წლების მანძილზე სწავლობდა და იკვლევდა ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა მდიდარ მემკვიდრეობას, აღწერა კიდევ რამდენიმე მთგანი. მას საკუთარი და სრულიად დამაჯერებელი მოსაზრებები აქვს გამოთქმული ვეფხისტყაოსნის ეგრეთწოდებული ჩანართი პლასტების დათარიღების თაობაზე და ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის შედგენილობის საკითხებზე.

მკვლევარმა შრომატევადი სამუშაოები ჩაატარა ვეფხისტყაოსნის პოეტური ენის თავისებურებათა გამოსაკვლინებლად, წარმატებით იკვლევდა პოემის სოციალურ გარემოს, ტიპაჟსა და უმთავრეს იდეურ მოტივებს. ალექსანდრე ბარამიძემ ერთმა პირველთაგანმა ცადა ვეფხისტყაოსნის, როგორც მხატვრული ძეგლის ტიპოლოგიური დახასიათება საშუალო საუკუნეების ამავე ხასიათის მსოფლიოს (როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის) მხატვრულ ქმნილებებთან შეპირისპირებით და ამ თვალსაზრისით საგულისხმო დაკვირვებები წარმოადგინა.

ალექსანდრე ბარამიძის მრავალწლოვანი რუსთველოლოგიური კვლევის შედეგია ვრცელი მონოგრაფია „შოთა რუსთაველი და მისი პოემა". კვლევა-ძიების მასშტაბით, ფართო ინფორმაციით, განმასოგადებელი დასკვნებით აღნიშნულმა მონოგრაფიამ დიდი აღიარება ჰპოვა არა მარტო სპეციალისტთა შორის, არამედ მკითხველთა უფართოეს წრეებში, არა მარტო ჩვენში, არამედ ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც.

ალექსანდრე ბარამიძის, როგორც გამოჩენილი რუსთველოლოგის, დასახიათება არ იქნება სრული, თუ არ აღვნიშნავთ მის მონაწილეობას ვეფხისტყაოსნის თითქმის ყველა თანამედროვე მეცნიერულ გამოცემაში და აგრეთვე იმ უანგარო დახმარებას, რასაც იგი წლების მანძილზე უწევდა პოემის უეხო ენაზე თარგმნით დაინტერესებულ პირებს.

ალექსანდრე ბარამიძის ფართო მეცნიერულ ინტერესებზე მეტყველებს ისიც, რომ მან არაერთი წერილი და გამოკვლევა მიუძღვნა მე-19 საუკუნისა და თანამედროვე მწერლობის მნიშვნელოვან წარმომადგენლებს. იგი მხურვალე ინტერესს იჩენს თანამედროვე ქართული მწერლობისადმი და გულით ახარებს მისი ყოველი გამარჯვება.

ვინც ალექსანდრე ბარამიძეს ახლოს იცნობს, მისთვის საკმაოდ ნაცნობია, თუ როგორ [illegible] მიაღწია მან ასეთ დიდ წარმატებას. იგი მთელი არსებით შთაგონებულია თავისი საქმით. მართლაც, გასაოცარი და მისაბაძია მეცნიერის ნაყოფიერება. მის კალამს ეკუთვნის 200-მდე გამოკვლევა და წერილი, ცალკეული ვრცელი მონოგრაფიები და ნარკვევების სუფთა ტომი, რომლებიც დღეს უსაკ

სსრკ კავშირის შექმნის 50 წლისთავის შესახვედრად

ძველი მეგობრობა

ტალალაევკა-ზუგდიდი

ოდითგანვე მეგობრობის ძაფები აკავშირებდა უკრაინელ და ქართველ ხალხს. ამ ძმობას უმდეროდნენ დავით გურამიშვილი და ტარას შევჩენკო, აკაკი წერეთელი თუ ლესია უკრაინკა...

ჩვენს ბედნიერ სამშობლოში ლენინური ეროვნული პოლიტიკის მეოხებით კიდევ უფრო განმტკიცდა ხალხთა შორის კავშირი და მეგობრობა. რესპუბლიკებსა და რაიონებს შორის, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შორის გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება.

ეს მეგობრული ძაფები, ხალხთა შორის ძმობა და მეგობრობა უფრო ხელშესახები გახდა ამ დღეებში, როცა ჩვენი ქვეყანა ემზადება დიდი ზეიმისათვის — სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის.

სწორედ ეს სურვილი ამოძრავებდა ზუგდიდელ მშრომელთა ძველ მეგობრებს უკრაინის სსრ ჩერნიგოვის ოლქის ტალალაევკის რაიონის მშრომელებს, როცა ისინი 22 მარტს ზუგდიდს ეწვივნენ სოციალისტური შეჯიბრების გასაახლებლად.

როგორც გაზეთი „კომუნისტი“ უფყვბობდა, ტალალაევკის რაიონის მშრომელთა დელეგაციას გულთბილი შეხვედრა მოუწყეს ზუგდიდელებმა. პირველ დღეს იყვნენ პარტიის ზუგდიდის რაიკომში, სადაც გაეცნენ ზუგდიდელთა წარმატებებს. შემდეგ გაეცნენ ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშაობას და დიდად კმაყოფილი დარჩნენ ამ მეურნეობაში შექანიზაციის მაღალი დონით და, განსაკუთრებით, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩაის საკრეფმა მანქანა „საქართველომ“.

საზეიმოდ მორთულია რაიონული ცენტრი და მისი სოფლები. ალაკატლოსუნგეში უკრაინელ და ქართველ ხალხთა ურღვევ მეგობრობაზე ლაპარაკობენ. ლენინის ორდენოსანი ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კულტურის სახლში გაიმართა მეგობრობის მიტინგი. მეურნეობის დირექტორმა, სოციალისტური შრომის გმირმა ი. ქანთარიამ სტუმრებს მოუთხრო მეურნეობის შრომითს საქმეებზე. ჩვენ — თქვა მან, — ვეჯიბრებით ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავის სახელობის საბჭოთა მეურნეობას. ეს ურთიერთობა გვეხმარება სული სიმდერები. ახალგაზრდების ქივილ-ხივილმა, ცეცხლოვანმა ცეკვა-თამაშმა აახმაურა ქუჩები. შემდეგ ზეიმმა ზუგდიდის შ. დადიანის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გადაინაცვლა, სადაც გაიმართა რაიონის სახალხო მეურნეობის მოწინავეთა შეკრება. იგი მიეძღვნა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მზადებას და უკრაინის სსრ ტალალაევკისა და საქართველოს სსრ მახარაძის რაიონებთან სოციალისტური შეჯიბრების შემდგომ გაშლას.

მოხსენება გააკეთა პარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. ჰომანავამ. მან ილაპარაკა რაიონის მიღწევებზე სახალხო მეურნეობის ყველა დარგში და ახალ გადიდებულ ვალდებულებებზე, რასაც კისრულობენ რაიონის მშრომელები მომდინარე წლისათვის.

— მიღწევები, რომელიც ჩვენს რაიონს აქვს, — აღნიშნა მომხსენებელმა, — მახარაძელ და ტალალაევკელ მშრომელებთან შეჯიბრების შედეგიცაა. მეგობრული შეჯიბრება, ძმობა, აღფრთოვანებს სამივე რაიონის მშრომელებს.

სიტყვით გამოსულმა, ტალალაევკელ მშრომელთა დელეგაციის ხელმძღვანელმა ნიკოლოზ ბლაქმ ხაზი გაუსვა უკრაინელ და ქართველ ხალხთა მეგობრობას, ზუგდიდელ და ტალალაევკელ მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრების დიდ მნიშვნელობას.

— ჩემი გამოსვლა აქ ერთგვარი ანგარიშია, — თქვა ნიკოლოზ ბლაქმ, — ამიტომ მოკლედ მოგახსენებთ რაიონის მიღწევებზე. ბოლო წლებში საგრძნობლად გაიზარდა მარცვლეულის საშუალო მოსავლიანობა და ბევრ მეურნეობაში ახლა ჰექტარზე 28-29 ცენტნერი ხორბალი მოგვყავს, 320-350 ცენტნერ შაქრის ჭარხალს ვღებულობთ ჰექტარზე. გაიზარდა ხორცისა და რძის წარმოება.

ტალალაევკელი ახალგაზრდების შრომითს მიღწევებზე ილაპარაკა საბჭოთა მეურნეობის მუშა ი. ტანჩენკომ.

სხვა სამახსოვრო საჩუქრებთან ერთად უკრაინის დელეგაციამ ზუგდიდის რაიონის მოწინავე კოლექტივზე გადასაცემად ჩამოიტანა პარტიის ტალალაევკის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც პარტიის ზუგდიდის რაიკომის ბიუროს დადგენილებით გადაეცა ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივს. ამ შეკრებაზე გაფორმდა სოციალისტური შეჯიბრების ახალი ხელშეკრულებანი.

25 მარტს უკრაინელი სტუმრები ეწვივნენ ენგურჰესის მშენებლობას და დათვალიერეს იგი. იმავე დღეს იყვნენ რუხში. რუხელმა კოლმეურნეებმა მათ სახელდახელო შეხვედრა მოუწყეს კულტურის სახლში. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა ა. კუტალიამ სტუმრებს გააცნო კოლმეურნეობის მიღწევები. აქვე გააფორმეს სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება რუხისა და ოქტომბრის სოციალისტური რეკონსტრუქციის მე-14 წლისთავის სახელობის კოლმეურნეობებს შორის.

უკრაინელმა სტუმრებმა დათვალიერეს რუხის ტყე-პარკი და აქ დარგეს მარადმწვანე მცენარეები და ყვავილები, რომელსაც მეგობრობის ხეივანი უწოდეს.

26 მარტს, კვირას, სტუმრები ეცნობოდნენ ქ. ზუგდიდის ღირსშესანიშნავ ადგილებს. მათ დათვალიერეს ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი და ბოტანიკური ბაღი. ეწვივნენ ზუგდიდის საქალაქო და რაიონული გაზეთ „მებრძოლის“ რედაქციას. „მებრძოლის“ რედაქტორმა ი. ქორთუამ უკრაინელ მეგობრებს სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

გმირთა სოფელი! იგი ჩვენს ქვეყანაში კარგად არის ცნობილი. ახალსოფელს ჰყავს 48 სოციალისტური შრომის გმირი, მათ შორის 2 ორგზის სოციალისტური შრომის გმირია.

26 მარტს, უკრაინელი სტუმრები ეწვივნენ ახალსოფელს. სოფლის ცენტრში უამრავ ხალხს მოეყარა თავი. ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, ორგზის სოციალისტური შრომის გმირმა ა. როგავამ ტალალაევკელ მეგობრებს მოუთხრო კოლმეურნეობის მიღწევებზე, გამრჯე ადამიანების კომუნისტურად შრომასა და ცხოვრებაზე.

სტუმრებს საუბარი ჰქონდათ სოციალისტური შრომის გმირებთან, კერძოდ — ორგზის სოციალისტურ შრომის გმირთან — თამარ ყუფუნიასთან.

საპატიო სტუმრებს კულტურის სახლში ახალსოფელელებმა შეხვედრა მოუწყეს. ახალსოფელელმა კოლმეურნეებმა სტუმრებს სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს.

უკრაინელი სტუმრები 27 მარტს ტალალაევკაში გავმგზავრნენ.

ასე შლის ფრთებს და ვითარდება ტალალაევკელთა და ზუგდიდელთა შეჯიბრება, მეგობრობა.

ბ. ნოდია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სურათებზე: ზუგდიდელთა ძვირფასი სტუმრები (ზემოთ მარცხნიდან) უკრაინის სსრკ ტალალაევკის რაიონის სასკოლო განყოფილების გამგე ბალინა ბნიკინი, კოლმეურნეობა „უკრაინის“ მწველავი ანა ჩიმერისი, ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის კოლმეურნეობის ბრიგადირი, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი თამარ ყუფუნია, ტალალაევკის რაიონის ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავის სახელობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, სოციალისტური შრომის გმირი სერგეი შარლაი. ქვემოთ — ტალალაევკელთა დელეგაციის წევრები „მეგობრობის ხეივანში“ ხეებს რგავენ.

კ. ყუფუნიას ფოტო.

ქართველი მწერლის პიესა ავზერბაიჯანულ სცენაზე

სადღესასწაულო პრემიერა

ბაქო, 29 მარტი. (საქინფორმის კორ.). მეგობრობის დიად დღესასწაულს — სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს უძღვნიან თავიანთ ახალ ნამუშევრებს აზერბაიჯანის თეატრები. მათს რეპერტუარში საპატიო ადგილი უკავიათ მოძმე რესპუბლიკების ავტორთა ნაწარმოებებს.

27 მარტს საიუბილეო პრემიერა უჩვენა მაყურებელს **მ. აზიზბეკოვის სახელობის აკადემიური დრამატული თეატრის** კოლექტივმა. თეატრმა წარმოადგინა ქართველი მწერლის, ლენინური კომკავშირის სრულიად საკავშირო პრემიის ლაურეატის **ნოდარ დუმბაძის** კომედია **„ნუ გეშინია, დედა“.**

პიესა აზერბაიჯანულ ენაზე ორიგინალიდან თარგმნა პოეტმა და დრამატურგმა ადილ ბაბაევმა. დადგმა განახორციელა ლენინური პრემიის ლაურეატის გ. ტოვსტონოგოვის მოწაფემ — ახალგაზრდა რეჟისორმა აგაკიში ქიახმლიმ, რომელიც სპექტაკლზე მუშაობის პროცესში ხვდებოდა ავტორს, სარგებლობდა მისი რჩევა-დარიგებებით. სპექტაკლი გაფორმა თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის მთავარმა მხატვარმა, საქართველოს სსრ დამსახურებულმა მხატვარმა, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა დიმიტრი თავაძემ.

სპექტაკლი „ნუ გეშინია, დედა“ გამსჭვალულია საბჭოთა პატრიოტიზმის იდეებით, უმღერის ერთიან ძმურ ოჯახად შეღუღებული ჩვენი ხალხების მეგობრობას. პიესა გამთბარია ადამიანებისადმი სიყვარულით, გამირჩევა ხალისი ხალხური იუმორით.

სპექტაკლის შექმნაში მონაწილეობდნენ თეატრის ღვაწლმოსილი მსახიობები და შემოქმედებითი ახალგაზრდობა. პრემიერაზე როლები შეასრულეს აზერბაიჯანის სსრ სახალხო არტისტებმა მ. სანანიმ, ი. ოსმანლიმ, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტებმა ა. ალიევამ, ჰ. ავშაროვმა, მ. ნოვრუზოვამ, მ. შეიხზამანოვმა, მსახიობმა ს. იბრაგიმოვამ და სხვებმა. ავთანდილის მთავარი როლი განასახიერა ახალგაზრდა მსახიობმა ფუად პოლადოვმა.

პრემიერას, რომელმაც დიდი წარმატებით ჩაიარა, დაესწრნენ აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **გ. ა. ალიევი,** აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **კ. ს. ბალადოვი,** აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ა. ი. იბრაგიმოვი** და რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელები.

ხალხის სიყვარული

ზურაბ ანჯაფარიძის შემოქმედებითი საღამო

ორი ათეული წელია ატკბობს მსმენელთა სსრ კავშირის სახალხო არტისტის ზურაბ ანჯაფარიძის შესანიშნავი ხმა. დიდად ნიჭიერმა მომღერალმა საინტერესო ვოკალურ-სცენურ სახეთა მთელი გალერია შექმნა დასავლეთევროპელი, რუსი, ქართველი კლასიკოსი და საბჭოთა კომპოზიტორების ოპერებში. იგი მრავალი მუსიკალური ნაწარმოების პირველი შემსრულებელი და ინტერპრეტატორია.

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ დებიუტმა ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერში“ ზ. ანჯაფარიძეს აბესალომის პარტიის ერთ-ერთი საუკეთესო შემსრულებლის სახელი მოუპოვა. შემდგომ იგი წარმატებით გამოდიოდა საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის თეატრების სცენებზე ოპერებში „პიკის ქალი“, „იოლანტა“, „კარმენი“, „აიდა“, „ტოსკა“, „ფაუსტი“, „მინდია“, წლების მანძილზე იყო სსრ კავშირის დიდი თეატრის სოლისტი.

ზურაბ ანჯაფარიძე ქართულ სცენას დაუბრუნდა შემოქმედებითი ძალებით აღსავსე, დავაკაცებული.

27 მარტს ხელოვნების მუშაკთა სახლმა მოაწყო ზ. ანჯაფარიძის შეხვედრა თბილისის შემოქმედებით ინტელიგენციასთან. დარბაზში, სადაც თავი მოიყარეს მომღერლის ნიჭის თაყვანისმცემლებმა, გამოფენილი იყო აფიშები მოკავშირე რესპუბლიკებისა და იმ ქვეყნების სხვადასხვა ენაზე, სადაც მსახიობი გამოსულა. მუსიკათმცოდნე ა. წულუკიძემ დამსწრეთ გააცნო მომღერლის ცხოვრება, მის მიერ სცენაზე შექმნილი სახეები, ილაპარაკა ქართული ვოკალური სკოლის ტრადიციებზე, რომლის -ღირსეული გამგრძელებელიც არის ზურაბ ანჯაფარიძე.

მომღერალს მიესალმნენ სსრ კავშირის სახალხო არტისტები პ. ამირანაშვილი, ა. მაჭავარიანი, ა. ვასაძე, რესპუბლიკის სახალხო არტისტები დ. მჭედლიძე, გ. ლორთქიფანიძე.

ამ საღამოს გამართულ კონცერტში მონაწილეობდნენ საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ვოკალური ჯგუფი ა. კავსაძის ხელმძღვანელობით, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ი. უზანეშვილი, ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტები. დასასრულ ზურაბ ანჯაფარიძემ მედუდუკეთა ტრიოს თანხლებით შეასრულა კომპოზიტორ ლ. იაშვილის სიმღერა თბილისზე. (საქინფორმი).

ორი მატჩი გულგარეთში

ამ დღეებში საბჭოთა ფეხბურთელები ბულგარეთს ეწვივნენ და აქ ორ დღეში ორი შეხვედრა გამართეს.

პირველი მატჩი 28 მარტს შედგა ქალაქ პერნიკში. სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წინააღმდეგ თამაშობდა ბულგარეთის ოლიმპიური გუნდი. შეხვედრის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა გოლმა. გაიმარჯვეს საბჭოთა ფეხბურთელებმა. ბურთი კოპეიკინმა გაიტანა.

გუშინ სოფიაში შედგა მეორე მატჩი. ამჯერად მოედანზე ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირისა და ბულგარეთის ნაკრები გუნდები.

პირველ ტაიმში მეტოქეებს ბურთი არ გაუტანიათ. მეორე ნახევარში უპირატესობას მასპინძლები ინარჩუნებდნენ და ანგარიშიც 78-ე წუთზე მათ გახსნეს, მაგრამ 2 წუთის შემდეგ კოლოტოვმა წონასწორობა აღადგინა. საბოლოოდ ფრე — 1:1.

საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში იყვნენ — რუდაკოვი, ძოძუაშვილი, ხურცილავა, ისტომინი, კაპლინი (მატვიენკო), კოლოტოვი, დოლმატოვი, გუცაევი, კოეემიაკინი, ფედოტოვი, იშტოიანი (მუნტიანი).

რამდენიმე სტრიქონით

● **ფვეციაში** გრძელდება ევროპის ჩემპიონატი ჰოკეიში ახალგაზრდული გუნდებისათვის. სსრ კავშირის ნაკრებმა დაამარცხა ნორვეგიელები 8:2. შვეიცარიისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდების შეხვედრის შედეგია 6:4 შვეიცარიის სასარგებლოდ. ფინელებმა სძლიეს დასავლეთგერმანელ ჰოკეისტებს 6:5, ორი ტურის შემდეგ ლიდერები არიან სსრ კავშირისა და შვეიცარიის გუნდები.

● **სპარტაკიადის** პირველობის გათამაშებაში მონაწილე ფეხბურთელთა გუნდებმა განვლეს ხუთი ტური. ლიდერობა ხელთ იგდო გარდაბნის „ვარკეთილმა“, რომელმაც მხოლოდ ერთი მატჩი დაამთავრა ფრედ, დანარჩენები მოიგო და 9 ქულა აქვს. შვიდ-შვიდ ქულით თანმიმდევრულად მომდევნო სამი ადგილი უჭირავთ გეგეჭკორის „სალხინოს“, ლაიფურის „ვიგანტსა“ და ცხაკაიას „ვერისს“.

● **ლვოვში** მოეწყო ჩვენი ქვეყნის უძლიერეს მოფარიკაველთა შესარჩევი ტურნირი. ნაკრების კანდიდატები ორ-ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. ხმლით მოფარიკაველთა შორის უძლიერესები იყვნენ მოსკოველები მ. რაკიტა, ვ. ნაზლიმოვი და ლენინგრადელი ე. ვინოკუროვი. დაშნით მოფარიკაველთა შორის წარმატება ხვდათ გ. ზაიცევს (ტალინი), ი. ვალეტოვს (ალმა-ატა) და კი